ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საქმიანობის ანგარიშის ფორმა

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი
2. საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: მაია დოლბაია
3. საკრებულოში დაკავებული თანამდებობა: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე
4. ფრაქციის წევრობა: ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო
5. კომისიის (კომისიების) წევრობა: სოციალურ საკითხთა კომისია, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია.
6. არჩევის წესი (მაჟორიტარის შემთხვევაში, მაჟორიტარული ოლქის მითითებით): პროპორციული სიით.
7. საანგარიშო პერიოდი: 2022 წლის 1 მაისიდან 2022 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

განხორციელებული საქმიანობები:

1.საკრებულოს სხდომების რაოდენობა, რომლებშიც მონაწილეობდა ანგარიშის წარმდგენი:

7 (შვიდი)

2.საკრებულოს ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა:

78 (სამოცდათვრამეტი)

3.საკრებულოს კომისიების სხდომების რაოდენობა, რომელშიც მონაწილეობდა ანგარიშის წარმდგენი:

12 (თორმეტი)

4.საკრებულოს ამ კომისიების ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა:

21 (ოცდაერთი)

5.საკრებულოში ინიციირებული საკითხების დასახელება:

საანგარიშო პერიოდში გახლავართ თანაავტორი შემდეგი მუნიციპალური პროგრამების: ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების პროგრამა, ეპილეფსიით დაავადებული ბავშვების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა.

6.მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა:

30

7.მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოკვეთილი ძირითადი საკითხები:

მოქალაქეებთან შეხვედრისას ძირითადად გამოიკვეთა სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემები.

8.სხვა განხორციელებული საქმიანობები:

საანგარიშო პერიოდში აქტიურად ვიყავი ჩართული მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილ კულტურულ, სოციალურ და გარემოსდაცვით ღონისძიებებში. მონაწილეობა მივიღე NDI -ის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში ლიდერი ქალები ცვლილებებისთვის. ასევე ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში გენდერულად მგძნობიარე ბიუჯეტირება, როგორც კარგი ბიუჯეტირების პოლიტიკა. სადღესასწაულოდ 28 აგვისტოს,

მარიამობის დღესასწაული მივულოცე დედ-მამით ობოლ ბავშვებს, მივართვით სურსათი, ტკბილეული და სასკოლო ნივთები.

შედეგი, ფაქტი:
საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შევიმუშავეთ და დავამტკიცეთ 2 ახალი მუნიციპალური პროგრამა. დავასრულეთ მუშაობა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტზე, გამოვკვეთეთ მოსახლეობის სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემები, რომელთა გადასაჭრელადაც აღმასრულებელ ხელისუფლებას მივმართე.

განხორციელებული საქმიანობების შედეგად მიღებული შედეგი, მაგ.: ანგარიშის წარმდგენის მიერ ინიციირებული რამდენი პროექტი იქნა მიღებული საკრებულოს მიერ, რა შესრულდა ამომრჩევლის წინაშე აღებული ვალდებულებებიდან.

შემდეგი საანგარიშო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტები:
შემდეგი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პრიორიტეტულია 2023 წლისთვის ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით ახალი პროგრამების შემუშავება, ზოგიერთი პროგრამის განახლება. მოსახლეობის მიერ გამოკვეთილი ინფრასტრუქტურული პრობლემების გადასაწყვეტად აღმასრულებელ ხელისუფლებასთან აქტიური მუშაობა.